საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1536

ქ. თბილისი

08/11/2021

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის სახიფათო ნარჩენების (დარიშხანშემცველი ნარჩენების) განთავსების საცავების მოწყობა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის სახიფათო ნარჩენების (დარიშხანშემცველი ნარჩენების) განთავსების საცავების მოწყობა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №53 (05.11.2021);
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულიაა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №53 (05.11.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი